

ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამბეზი № 277.

ხუთშაბათი, 9 დეკემბერი 1904 წ.


ნაბთის № 2694.

ნ ი შ ა ნ ი

გ. გაშხასა.

სიმონ ივანოვი რკინის ზუზუნე მსახურებდა. იმის სადარაჯოდან ერთს სადღურამდე იყო თორმეტი ვერსი, შეორემდის—ათი. ოთხი ვერსის მანძილზე შარშან გამართეს დიდი სარაივი. ტყიდან შვიდ მონახნა იმისი მილი. უფრო ახლო კი, სხვა დარაჯები გარდა, არაფერია სცხოვრობდა.

სიმონ ივანოვი ავადმყოფი და ცხოვრებისაგან ვატილები კაცი იყო. ცხრაწლის წინად ივანოვი იყო იყო. ის დანიშნეს ერთი აფიცრის ხელზე მოსამსახურედ და მთელის ომის განმავლობაში იმასთან იყო. ბევრი გაქირვება აიტანა ამ ომში: არა ერთხელ უთმენია შიმშილი, სიცხე, სიცივე. ბევრჯერ დღეში ორმოცი და ორმოცდაათი ვერსი გაუვლია ყინვასა და ჰაანაქებაში, ხშირად სროლაშიაც შეხვედრია უკუნად, მაგრამ, ლევის წყალობით, ერთი ტყვიაც არ გაჰკარებია. ერთხელ იმისი პოლკი წინა რიგში იყო. მთელი ერთი კვირა ოსმალეთსა და პოლკს განუწყვეტელი სროლა ჰქონდათ: ისინი იღვწენ დღის განმავლობაში და დილდენ საღამომდის განუწყვეტლივ უშენდენ ერთმანეთს ტყვიებს. სიმონას აფიცრიც სროლაში იყო. ყოველ დღე სიმონას მასთან დაჰქონდა ჯარის სამხარეულოდან, ე. ი. ხრამიდან, ცხელი სამოვარი და სადილი. მიდის სიმონა სამოვრით ხელში მინდორ-მინდორ, ტყვიები კი ზუზუნებზე და ქვებზე ტყიანი ვაჭეთ. შიშისაგან ანკალებს სიმონა, სტირის, მაგრამ მაინც მიდის. აფიცრები ძალიან ემაღლებებოდნენ, რადგან ცხელი ჩაი ყოველთვის ზხად ჰქონდათ.



ნ. ნ. კიკვიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ახალი ამხანაგი.

ბრალოს: არ გასულა დაბრუნების შემდეგ დიდი ხანი, რომ მოხუცი მამა მოუყვდა. ოთხი წლის ვაჟი ჰყავდა, ისიც ყელის ტკივილია იმსხვერპლა. დარჩნენ სიმონა და იმისი ცოლი მარტოდ-მარტონი. იმათ ვერ მოაწყეს ოჯახი, რადგან სიმონამ ვერ შესძლო თავის დასივებულ ხელებითა და ფეხებით მიწის მუშაობა. როცა დაინახეს, რომ სოფელი ვერსა ვადებოდნენ, განშორდნენ და წავიდნენ სხვაგან ზღვის საცდელად. ბევრი ქალაქი და სოფელი მოიარეს, ხერსონშიაც იყვნენ, კლანშინაშიაც, მაგრამ ვერსად ვერ მოიკიდეს ფეხი.

დაბრუნდა ომიდან უნებელი, მხოლოდ ხელსა და ფეხზე ტყეზე აუტყა. მას შემდეგ არა ერთი უბედურება ეწია საბრალოს: არ გასულა დაბრუნების შემდეგ დიდი ხანი, რომ მოხუცი მამა მოუყვდა. ოთხი წლის ვაჟი ჰყავდა, ისიც ყელის ტკივილია იმსხვერპლა. დარჩნენ სიმონა და იმისი ცოლი მარტოდ-მარტონი. იმათ ვერ მოაწყეს ოჯახი, რადგან სიმონამ ვერ შესძლო თავის დასივებულ ხელებითა და ფეხებით მიწის მუშაობა. როცა დაინახეს, რომ სოფელი ვერსა ვადებოდნენ, განშორდნენ და წავიდნენ სხვაგან ზღვის საცდელად. ბევრი ქალაქი და სოფელი მოიარეს, ხერსონშიაც იყვნენ, კლანშინაშიაც, მაგრამ ვერსად ვერ მოიკიდეს ფეხი.

ბოლოს ცოლი მოახლედ დადვა, სიმონამ კი ისევ განაგრძო ხეტიალი. ერთხელ მატარებლით მოუხდა მგზავრობა: ერთს სადღურზედ რომ ჩამოხტა, შეხვდა იმ სადღურის უფროსს და მისი სახე თითქმის ეცნო. დაუწყაო ტყერა, უფროსიც დააკვირა იმის სახეს, ბოლოს იცნეს ერთმანეთი; უფროსი აღმოჩნდა იმის პოლკის აფიცრი.

ივანოვ, შენა ხარ?—ჰკითხა სადღურის უფროსმა.
— დიხ, თქვენო კეთილშობილებებ, მე ვახლავარ...
— როგორ მოხვედი აქ?
სიმონამ უამბო თავისი თავდასავალი.
— ეხლა სითენ მიდიხარ?
— არ ვიცი, თქვენო კეთილშობილებებ.
— რას ამბობ, სულელი! სად მიდიხარ, არ იცი?
— დიხ, თქვენო კეთილშობილებებ, რადგან ადგილი არა მაქვს. რაიმე საშუალო უნდა ვიშოვო, თქვენო კეთილშობილებებ!

შეხდა უფროსმა და ცოტა ფიქრის შემდეგ, უთხრა:
— აი რას გეტყვი, ძმობილო! დარჩი დროებით სადღურზედ. შენ, მე ვგრძნებ, ცოლიანი ხარ, სადა გვაქვს ცალი?
— დიხ, თქვენო კეთილშობილებებ, ცოლიანი ვარ. ცოლი ქ. კურსკშია ვაქართან მოახლედ.

— მაშ, მისწერე ჩამოვიდეს; უფასო ბილეთს ვუშოვი. მთელი აქ გუზის დარაჯის ადგილი განთავისუფლდება. დისტანციის უფროსს ესთხოვ შენ მოგცეს ის ადგილი.


— დიდად გმადლობთ, თქვენო კეთილშობილებებ! — უპასუხა სიმონამ.

დარჩა სადღურზე. სადღურის უფროსის მხარეულს საქმის გაკეთებაში ემხარებოდა, შეშას აპობდა, ეხოსა და პოტფორმას ჰჭედა. ორი კვირის შემდეგ ცოლიც მოუვიდა და ხელ-ურემითი წაყიდნენ თავიანთ სადარაჯოში. სადღურის უფროსმა ასალი, თბილისი იყო. შეშა თავსაყრელი ჰქონდათ, წინანდელ დარაჯების მიერ დაცემული პატარა ბოსტანიც დახვდათ და ნახევარი დესტინა მიწაც ეძლეოდათ ლიანდაგის პირას. გაუხარდა სიმონას; იმსხვერპლად კი დაიწყო ოცნება, როგორ მოაწყობდა საკუთარს ოჯახს, ძროხასა და ცხენს აიკლდა.

სიმონას მისცეს ყველა ხელსაწყო: წითელი და მწვანე ალაზი, საყვირი, ჩაქუჩი, რკინის კტრა, ნიაბი, ცოცხები, მისცეს წესდების ორი წიგნი და მატარებლების სანიშნებელი. სამსახურის პირველ ხანებში სიმონა დამებებს უშილოდ ათენებდა, სულ მატარებლების ნომრებს იხუპირებდა: მატა-



გ. ა. არჯანჯანი, თავი ისხვდა ჰუტლიაგო გონას ადგებს დროს.



აბაქეთა შერ კანდინა რუსის მეზღაურთა იმ ადგილას, სადაც იქმის „რეურაგ“-ი დასაღება.

რბილის გამოვლამდის ორი საათით აღრე შემოვივლიდა თავისს ნაწილს, შემდეგ დაჯდებოდა ფიცარზედ სადარაჯოსთან: ყურს უვდებდა, რელსები ხომ არ ზანზარობენ ან მატარებლის ხმა არ ისმისო. გაიზვირა წესდება; თუმცა ძლიერს ძლიერობით კითხულობდა, მაგრამ მაინც დასძლია დაბრკოლებას.

ეს ამბავი მოხდა ზაფხულში. სამუშაო მძიმე არ იყო, რადგან თოვლის ახეტა არ სჭირდებოდა, იმ გზაზე მატარებლებიც იშვიათად დაიარებოდნენ; შემოვივლიდა თავის ნაწილს სიმონა დღეში ერთხელ, ცოტას შიასწორ-შოასწორებდა, შემდეგ მიდიოდა ოჯახის მოსაველედა. ერთი რამ აწუხებდა სიმონას: რის გაკეთება უნდა მოერდებინა, ყველაფერზედ გზის ოსტატისაგან ნებაართა უნდა აეღო. გზის დარაჯი კიდევ დისტანციის უფროსს მოახსენებდა. სანამ ჰასუხი მოვიდოდა, დრო გადიოდა. ცოლქმარის ასეთ უსაქმობის გამო კიდევ მოსწყინდათ.

გავიდა ორი თვე, სიმონამ გაიცნა თავისი მეზობელი დარაჯები. ერთი ძლიერ მოხუცი იყო. იმისი დათხოვნა უნდოდათ, რადგან სადარაჯოები ძლიერს გამოდიოდა; ცოლი ასრულებდა მის მაგიერ სამსახურს. მეორე კი, რომელიც სადურს ახლო მსახურებდა, იყო ახალგაზდა, გამხდარი, ამასთან ძეალ-მსხვილი კაცი. ერთხელ გზის სინჯვის დროს ისა და სიმონა შეიყარნენ ლიანდაგზე სადარაჯოებს შუა. სიმონამ ქელი მოიხადა, მიესალმა.

— გამარჯობა, მეზობელო!
მეზობელობა აღმაიკრიალ შემოხმებდა.
— გავიმარჯოს!

გაბარუნდა და წავიდა. მათი ცოლეზიც შეხვდნენ ერთმანეთს. სიმონას არინა მიესალმა მეზობელს, მაგრამ ამანაც ბევრი არ ილაპარაკა და წავიდა. ერთხელ თვით სიმონა შეეხტა მეზობლის ცოლს და ჰკითხა:

— ქელო, რად ეჯავრება ასე შენ ქმარს ლაპარაკი, რომ ერთს სიტყვისაც ვერ ათქმევინებ?

ქელომ ცოტა სიჩუმის შემდეგ მიუყო:
— რა აქვს შენთან სალაპარაკო? ყველას თვისი დარდი აწუხებს. თავი დაანებე.

გავიდა კიდევ თვე, მეზობლები უფრო დაახლოვდნენ. შეხვდებოდნენ სიმონა და ვასილ ლიანდაგზე ერთმანეთს, ჩა-

მოკლებოდნენ კიდევად, თამბაქოს სწვენენ და უამბობდნენ ერთი მეორეს თავიანთ თავგადასავალს. ვასილ უმეტეს ნაწილად სდებდა, სიმონა-კი თავის სოფელსა და ომს უწერდა.

— თუმცა ცოტა მიცხოვრია, მაგრამ ამ მოკლე სიცოცხლეშიაც ბევრი მწუხარება გამომივილია, არა მწყალობს ღმერთი. ვისაც რა უწერია ღვთისაგან, იმას არ ასცდება.

ვასილმა ამ სიტყვებზე ჩიბუხი გამობერტყა, ადგა და უთხრა:

— ჩვენი ტანჯვა-წავილების მიზეზი ბედობალი კი არ არის, არამედ კაცები არიან. მთელს ღვდამწივზე კაცზედ უფრო ბოროტი და გულუკვა ნადირი არ არის. მეგელი მეგელს არ შესჯამს, კაცი კაცს კი ცოცხლად შთანთქმეს.

— არა, მშობილო, მაგრე რად ამბობს! მეგელი მეგელს სჯამს.

— სიტყვამ მოიტანა და ამიტომ ეს თქვი. მაინც ვიტყვი, რომ ადამიანზედ უფრო შეტერალებელს ქწნილებას ვერ იპოვნი. კაცი რომ ასეთი ბოროტი და ხარბი არ იყოს, ცხოვრება კიდევ შესძლო იქნებოდა. ყველანი იმასა სცილობდენ, როგორც ხელში ჩაევიდნენ, რამე შევგალოჯონ, სისხლი ამოგწუწუნონ.


სიმონა ამ სიტყვებმა დააფიქრა. ბოლოს სთქვა:

— რა ვიცი, იქნება ასეც იყოს, მაგრამ ასეც რომ იყოს, უსათუოდ ღვთის ნებით არის.

— მო და, თუ შენ ასე ფიქრობ, მაშინ შენთან ლაპარაკიც არა ღირს. თუ ყველაფერი სისასივედ ღმერთს დაგებარა, თვითონ კი გულზედ ხელები დაეკრიფეთ და ვითმინეთ, მაშინ ადამიანები კი არა, პირუტყვები იქნებოთ. იი ჩემი ჰასუხი.


გაბარუნდა ვასილ ამ სიტყვების თქმისთანავე და წავიდა. სიმონა ადგა და მიამბა:

— მეზობელო, რის ოლიანდები?
ვასილმა არც კი მოხებდა და შინსკენ გასწავია. დიდხანს უტკიარა სიმონამ, სანამ ვასილი გზის მოსაგვევს არ მიეფარა. სიმონამ შინ დაბრუნებისას ცოლს უთხრა:



შევა ზღვის „ფობრ. ფელტა“- გემის გასვლა დარდნაღვის სრუტეში.

— ოჰ, არინა, ეს ჩვენი მეზობელი კაცი კი არა, საწამლავია.



აბხაზელი სადღაბეა ისევესებენ სანგრეშში ზორტარტყურის წინ.

ისინი მიიწვი არ დამღებულან. როდესაც ხელმოკრულ შემხედნენ, უწინდებურად იმავე საგანზე გააბეს ბასი.

— ცაცები რო ასეთები არ იყენენ, არ ვიქნებოდით მე შენ ამ სადარაჯოებში მიგდებულნი,—ამბობდა ვასილი.

— არა უშვს სადარაჯოს.

— შიგ ცხოვრება შეიძლება.

— ექ, შენ! შეიძლება, შეიძლება! ამდენი გიტოვებია, ჯერ კიდევ კუუ ვერ ვისწავლია! ბევრი გიტყვებია, არაფერი არ დავინახავს! რა ცხოვრებაა ღარიბი კაცის ცხოვრება, სადარაჯოში იქნება თუ სხვადან! შენ რამდენს იღებ?

— ცოტას, ვასილ: თორმეტ მანეთს.

— მე კი ცამეტ მანეთ ნახევარს. ამა ერთი მიპასუხე, რატომ? კანონით, გამგეობის განკარგულებით, თვითუფლის წყენგანს უნდა ეძლეოდეს თხუთმეტი მანეთი, შეშა და ნავთი. ვინ ჩამოიყვანა ჩვენი ჯამაგირი თორმეტ მანეთზე, ან ცამეტ ნახევარზე, მიპასუხე ერთი? შენ კი გაიძახი: ცხოვრება შეიძლებაო. გაიგე, რომ აქ სამ მანეთში ან მანეთ ნახევარში კი არ არის საქმე. თუნდ ის თხუთმეტი მანეთი უკლებლად მოეცათ. წარსულს თვეში სადგურზე ვიყავი. დირექტორმა გამოიარა და ენახე, ასეთს პატის ევლისე, იჯდა ცალკე ვაგონში. გამობრძანდა და პლატფორმაზე გახერდა. არა, არ დავრჩებით მე ამ ადგილზე დიდხანს, წავალ სადღე.

— სად წახვალ, ვასილი? თურამაულის პატრონი ტყეში კუნელს არ დაუწყებს ძებნას. აქ შენ თბილი სახლიცა გაქვს, მიწაცა. ცოლიც ბეჯითი გაყვს.

— მიწაცა! ნეტები ჩემი მიწა განახა! ერთი წწელიც არ იშოვება ზედ. ვახაუხულზე კომბოსტო დავრგე; იმ ცოტა ხანში გზის ოსტატმა ჩამოიარა და დამიყვინა: ამის რას ვხედავ! ნება დაურთველად რად დარგეო? მოხსენება არ უნდაღა? ამ წუთში ამითაბრე, რომ დესიკე პარაჩესო. სხვა დროს იქნება, არაფერი ეთქვა, მაგრამ მაშინ მთერალი იყო და სამი მანეთი ჯარიმაც გიდა-მახდევინა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ ვასილმა მოსწია წიბუხი და დაბლა სთქვა:

— კიდევ რომ ვებენდა, იმდენსა ვსცემდი, რომ სიგრძის სიგანედ ვუქცევდი.

— ექ, მეზობელო, ძლიერ ფიცხი ხარ.

— ფიცხი კი არა ვარ, სწორედ ვფიქრობ და ვლაპარაკობ. კიდევ დამიკადოს იმან, თვით დისტანციის უფროსთან ვფიქვლებ. მიუუროს!

მართლაც უჩივლა.

ერთხელ დისტანციის უფროსს გზის გასასინჯად უნდა ჩამოვლო. სამი დღის შემდეგ ვილაც პეტერ-ბურგელ მოხელეებს უნდა გზის რევიზია მოეხდინათ; ამიტომ იმათ ჩამოვლამდის ყველაფერი უნდა მოწესრიგებულიყო. ლიანდაგზე სილა ყარეს და გაასწორეს, ბურღები მომზარტეს, ბოძები შეჭლებეს; ურმის გადასასვლელებზე ყვითელი სილა დააყრე ვინეს. მოხუცი დარაჯიკ კი გამოიყვანა მისმა ცოლმა ბლახის მოსათხრელად. სიმონა ერთს კვირას სულ მეშობაშში იყო; ყოველგან წესრიგი დაამყარა, თავისი კაფტანიც დაიკერა, გაიწმინდა, ქაშრის აბზინდი გააყარა. ვასილიც მოეშადა. ბოლოს დისტანციის უფროსიც მოვიდა ხელურებაზედ. ოთხი მუშა სახელურს ატრიალებდა. ვადის ოცს ვერსს საათში; მხოლოდ ბორბლები ხრივებენენ. როცა სიმონას სადარაჯოსთან მიადწიეს, სიმონა იქვე გაჩნდა და სალდათურად ყველაფერი მოახსენა. ყველაფერი კარგად აღმოჩნდა.

— შენი აქ ღიდ ხანია მსახურებ?—ეკითხება უფროსი.

— მაისის ორიდან, თქვენო კეთილშობილებაც!

— კარგი. მდღობელი ვარ. ას სამოცდა მეოთხე ნომერში ვინ მსახურებს?

გზის ოსტატმა, რომელიც უფროსს ახლდა, უპასუხა:

— ვასილ სპირიდოვი.

— სპირიდოვი, სპირიდოვი... აი ის სპირიდოვი ხომ არა, რომელსაც თქვენ შარშან არ ემლოდიერებოდით?

— სწორედ ის არის.

— მაშ, კეთილი, ენახათ ვასილ სპირიდოვი. ვასწით! მეშუბი დააწუნენ სახელურს და ხელ-ურემიც დაიბრა.

სიმონამ თვალი გადაღვნა და დაიფიქრა: ენახათ, როგორ დაუხვდება მაგალი მეზობელი.

ორ საათს შემდეგ წავიდა გზის შემოსავლელად. ზხედავს, ვილაც ლიანდაგზედ მუდის, თავზე რაღაც თეთრი



სათკარო წარმოდგენა აბხაზელით ვარში.

უჩანს. რა მიუხელოვდა, იცნო ვასილი: ხელში ჯობი ექვია, მხოლოდ აბგა ვადღევა, ლოცვა ცხვირსახოკით ახევი.

— მეზობელო, საითყენ?—შორიდან დაეკითხა სიმონა.

ვისილი ახლო მოვიდა. საბარლოს ფერი მთლად დაჰკარგოდა, თვალები ამღვრებოდა, ლაპარაკის დროს ხმა უწყდებოდა.

— ქალაქში მივიდეთ, მოსკოვში... გამგეობაში.

— გამგეობაში? საჩივრებზე ხომ არა? თავი დანებებ, ვისილი, დაივიწყე.

— არა, მშობილო, ვერ დავივიწყებ. გვიანდაა. ხედავ, სილა გამაწნა, სისხლი მადინა. სანამ კირში სული მიდგას, არ დავივიწყებ, თავს არ დავანებებ.

სიმონამ ხელი ხელთ ჩაჰკიდა და უთხრა:

— თავი დანებებ, ვისილი, დაიჯერე, რომ უშჯობესს ვერ იზამ.

— ვიცო, რომ ვერ ვიზამ; მართლს ამზობდი ბედ-ილაბოზე, ჩემთვის უშჯობესს ვერ ვიზამ, მაგრამ სიმართლისთვის ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიბრძოლოთ.

— სთქვი, რა მოხდა ასეთი?

— აი რა: ნახა ყველაფერი, ჩამოვიდა, სადარაჯოშიც შეიხედა. ვიცოდი ყველაფერს სასტიკად მომთხოვდა, ამიტომ ყველაფერი კარგად მქონდა. როცა წასვლა დააიბრა, ვიღროვე და საჩივრით მივმართე. უფროსი ყვირილს მოჰყვა, აქ მთავრობის რევიზია ხდებდა, შე ასეთ ისეთო, შენ კი რაღაც ბოსტანზედ ჩივი! აქ ასეთი მაღალ ხარისხის მოხელეები არიან, შენ კი რაღაც კომპოსტზედ ლაპარაკობ! ვერ მოვითმინე, პასუხი გავეცე, ისე მაინც და მაინც შუარე კი არა, მაგრამ შეურაცხყოფად მიიღო და სილა გამაწნა. გავ-

შეშდი, თითქოს ეს სილა მეკუთვნებოდა. მხოლოდ მათის წასვლის შემდეგ მოვედი გონს, მოვიბანე პირი და წამოვედი.

— სადარაჯო ვის დაუტოვე?

— ცოლსა. მოუვლის. ეჰ, ჯანდაბას მაგათი გზაცა და სადარაჯოც.

ვისილი ადგა და წასასვლელად მოემზადა.

— მშვიდობით, სიმონ! არ ვიცო, ვიბოგნი კი სიმართლს!

— განა ფეხით წახვალ?

— სადგურზედ საქონლის მატარებელში ადგილს ვითხოვ, ხელო მოსკოვში მივალ.


გამოემშვიდობნენ მეზობლები ერთმანეთს; წავიდა ვისილი და დიდხანს არ დაბრუნებულა. ცოლი ასრულდება სამსახურს: დღე და ღამე არ ეძინა, თვალები დაიწვექა ქმრის ლოდინით. მესამე დღეს რევიზიამაც მოაწია: ორთქლივალვი ორი საქონლისა და ორიც პირველი კლასის ვაგონი. ვისილი კი მაინც არ ჩანდა. მგოთხე დღეს სიმონამ იმისი ცოლი დინახა: სახე ტირილის გამო დასიებოდა, თვალები დაწითლებოდა.

— ქმარი დაბრუნდა? — ჰკითხა სიმონამ.

ქალმა უარის ნიშნად ხელი დაუქნია და უსიტყვოდ წავიდა თავის სადარაჯოსკენ.

(დასარული იწყება)

ან—კანა.



ორსეცხლ შუა. — აქეთ წავალ — გამძარცვავენ, იქით წავალ — გამყვლეუვავენ.